პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 301 (9461) | სამშაბათი, 23 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში (1-ლი გვერდი).

ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი — „პრავდის“ 22/XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში (1-ლი გვერდი).

აკად. დ. ვ. სკობელცინი — მშვიდობის სტალინური პრემიების ლაურეატები (მე-2 გვერდი).

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწოდება (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე (მე-3 და მე-4 გვერდები).

ნ. პაიჭაძე — თანამედროვე თურქეთი ამერიკის ყაჩაღური იმპერიალიზმის სამსახურში (მე-3 და მე-4 გვერდები).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

17 და 20 დეკემბერს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის სხდომები.

კომიტეტმა განიხილა წინადადებანი მიმდინარე წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

ქვემოთ ქვეყნდება კომიტეტის დადგენილება „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1952 წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1952 წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის 1952 წლის 20 დეკემბრის დადგენილება

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული ძალების შემდეგ წარმომადგენლებს:

1. ივ **ფარჟუ** — (საფრანგეთი);
2. საიფუდინ **კიტჩლუ** — სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარეს;
3. ელიზა **ბრანკოს** — ბრაზილიელ ქალთა ფედერაციის მოღვაწეს;
4. პოლ **რობსონს** — (ამერიკის შეერთებული შტატები);
5. იოჰანეს **ბეხერს** — მწერალს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა);
6. ჯეიმს **ენდიკოტს** — მოვდელს (კანადა);
7. ილია **ერენბურგს** — მწერალს (სსრ კავშირი).

კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები გო. მო.-ჟო. (ჩინეთი)
ლუი არაგონი (საფრანგეთი)

კომიტეტის წევრები:
მ. ანდერსენ-ნექსე (დანია),
ჯონ ბერნალი (ინგლისი),
პაბლო ნერუდა (ჩილი),
იან დემბოვსკი (პოლონეთი),
მიხეილ სადოვიანუ (რუმინეთი),
ა. ა. ფადეევი (სსრ კავშირი).

1952 წლის 20 დეკემბერი, ქ. მოსკოვი.

ივ ფარჟი — საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთი.

საიფუდინ კიტჩლუ — სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე.

ელიზა ბრანკო — ბრაზილიელ ქალთა ფედერაციის მოღვაწე.

პოლ რობსონი — ცნობილი მომღერალი და საზოგადო მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატები.

იოჰანეს ბეხერი — პოეტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჯეიმს ენდიკოტი — მოვდელი, ხელოვნების მაგისტრი, კანადა.

ილია ერენბურგი — მწერალი.

გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის ყველა უბანში არჩევნების შემდეგ დამთავრდა ხმების დათვლა.

გაიმართა საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. ვ. კირვალიძემ სხდომის დამსწრეებს აცნობა, რომ გომარეთის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები უკლებლივ ყველანი გამოცხადდნენ საარჩევნო ყუთებთან, რათა თავიანთი ხმები მიეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ა. ი. მგელაძისათვის.

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები, — ამბობს ამხ. კირვალიძე, — გახდა მკაფიო დემონსტრაცია მშრომელთა პატრიოტული გრძნობებისა, კომუნისტური პარტიისადმი, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა, მათი მზადყოფნისა თავიანთი ძალები მოაწმარონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

საოლქო კომისიამ განიხილა საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმები და გამოარკვია, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო გომარეთის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა 100 პროცენტმა. მათ ყველამ თავისი ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატს, კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს აკაკი ივანეს-ძე მგელაძეს.

სხდომის მონაწილენი ცნობას ხმების დათვლის შედეგების შესახებ ხანგრძლივი მხურვალე ტაშით ხვდებიან.

საარჩევნო კომისიის წევრები ხელს აწერენ კენჭისყრის ოქმს.

ახალი ძალით გაისმის ტაში, როცა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 93-ე მუხლის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადასტურა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად არჩეულია აკაკი ივანეს-ძე მგელაძე. (საქდესი).

რკინიგზის ტრანსპორტი ახალ ხუთწლედში

რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკის ცენტრალურ სახლში გაიხსნა გამოფენა „რკინიგზის ტრანსპორტი ახალ სტალინურ ხუთწლედში“. ფოტოსურათები, პლაკატები გვიჩვენებენ იმ მუშაობის გრანდიოზულ მოცულობას, რომელიც რკინიგზელებმა უნდა შეასრულონ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი სტენდი მიძღვნილია რკინიგზების გამტარუნარიანობის გადიდებისადმი. ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის გადაწყვეტილია ხუთწლედის განმავლობაში აიგოს 60 პროცენტით მეტი მეორე ლიანდაგები, ვიდრე წინა ხუთწლედში. ეს საშუალებას იძლევა ხაზების გამტარუნარიანობა მოძრაობის ავტობლოკირების წესით რეგულირებისას გადიდდეს ერთიხუთად და მეტად.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს რკინიგზის ახალი ხაზების რუკა, მოგავალი მძლავრი ორთქლმავლების, ელმავლებისა და თბომავლების სქემები. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სამშობლოს წინაშე პატრიოტული მოვალეობის შესრულებისა და სიფხიზლის გამოჩენისათვის დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აბესლამიძე** აბდულ დურსუნის-ძე
2. **აბესლამიძე** ოსმან ალის-ძე
3. **ახამბაძე** დიმიტრი კაზიმის-ძე
4. **გელაშვილი** ელენე ზაქარიას ასული
5. **იაკუნინი** ალექსი გრიგოლის-ძე
6. **ირემაძე** დურსუნ ხუსეინის-ძე
7. **კახაძე** ნინო კონსტანტინეს ასული
8. **კვირიკაშვილი** ანატოლი ვასილის-ძე
9. **კურტანიძე** ვლადიმერ იოსების-ძე
10. **მჭედლიშვილი** თინა ვასილის ასული
11. **ნაკაშიძე** გულიზარ მურთაზის ასული
12. **პეტრიძე** კურდატ სულეიმანის ასული
13. **ულენტი** შალვა საველის-ძე
14. **ქათამაძე** ისა ახმედის-ძე
15. **ჩაფიძე** ნაზიმე უსუფის ასული
16. **ხუციშვილი** გრიგოლ ლავრენტის-ძე
17. **ხუციშვილი** ილია მიხეილის-ძე
18. **ხუციშვილი** ქსენია გიორგის ასული
19. **ჯალალნია** ალლამ ფილიპეს-ძე.

ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი

ვენაში მუშაობა დაამთავრა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესმა. რვა დღის განმავლობაში ასობით მილიონი ადამიანის ყურადღება მიპყრობილი იყო ავსტრიის დედაქალაქისადმი. ისინი იმედით ადევნებდნენ თვალყურს ხალხთა ამ დიდი ასამბლეის მუშაობის მსვლელობას. კონგრესზე ფართო დისკუსია გაიმართა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს აღელვებს. ეს საკითხებია ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობა და უშიშროება, ამჟამად წარმოებული ომების, და უწინარეს ყოვლისა, კორეის ომის შეწყვეტა, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

მსოფლიოს ჯერ არასოდეს არ უნახავს ასეთი წარმომადგენლობითი კრება სხვადასხვა შეხედულებისა და რწმენის ადამიანებისა, რომლებსაც აერთიანებს საყოველთაო მშვიდობის დაცვის წმიდა და კეთილშობილური იდეა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 85 ქვეყნიდან ჩამოსულმა 1.857 კაცმა. ტრიბუნიდან გაისმოდა ინგლისისა და გერმანიის, კორეისა და ვიეტნამის, ინდონეზიისა და იაპონიის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის, იტალიისა და საფრანგეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის, ბრაზილიისა და მექსიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხალხთა, აფრიკისა და ოკეანიის ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლების ხმა. ბევრ დელეგატს დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა იმისათვის, რომ დასწრებოდა ხალხთა კონგრესს ვენაში. მაგრამ ხალხთა შეუდრეკელი მისწრაფება მშვიდობისადმი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე იმპერიალისტების ცდები — ჩაეფუშათ კონგრესი.

ვენის კონგრესის დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მოსახლეობის უკლებლივ ყველა ფენის წარმომადგენლებმა. კონგრესის მონაწილეთა შორის იყო 326 მუშა, 55 გლეხი, 156 მოსამსახურე, საქმიანი წრეების 63 წარმომადგენელი, 189 პოეტი და მწერალი, 76 მსახიობი და მოქანდაკე, 157 მეცნიერი მუშაკი და ექიმი, 94 მასწავლებელი, 65 კულტის მსახური, მშვიდობის დაცვის ეროვნული ორგანიზაციების 92 ხელმძღვანელი და ბევრი სხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ეს ადამიანები ვენაში ჩავიდნენ მტკიცე სურვილით — შეთანხმებოდნენ ერთმანეთს იმის შესახებ, თუ როგორ აიცილონ თავიდან ახალი სამხედრო კონფლიქტი, როგორ იხსნან კაცობრიობა ახალი ომის საშინელებისაგან.

მოიწვია რა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი, მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ცხადყო, რომ იგი ცდილობს გააერთიანოს კეთილშობილური ღონისძიებანი სხვადასხვა ორგანიზაციის, მოძრაობის და მიმდინარეობისა, რომლებსაც სხვადასხვა შეხედულება აქვთ ბევრ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ საკითხზე, მაგრამ ხალხთა შორის თანხმობას ესწრაფვიან და სურთ ერთად აწარმოონ ბრძოლა, რათა ჩაფუშონ ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმები და უზრუნველყონ საყოველთაო მშვიდობა.

ვენის კონგრესმა ცხადად დაანახვა ყველა პატიოსან ადამიანს, რომ იქ, სადაც არის სოლიდარობა ისეთ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხში, როგორიც არის მშვიდობის საკითხი, იქ ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური უთანხმოება უკანა პლანზე დგება.

კონგრესის მუშაობის შედეგები სხარტად, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მის მოწოდებაში. ეს ისტორიული დოკუმენტი გამოხატავს ხალხთა ურყევ მისწრაფებას მშვიდობისადმი. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ თავისუფალმა დისკუსიამ ცხადყო კონგრესის შეუდრეკელი მისწრაფება — ბოლო მოუღოს „ძალის პოლიტიკას“, რომელმაც დიდი უბედურება მოუტანა ხალხებს და კატასტროფას უქადის კაცობრიობას.

კონგრესმა მსოფლიოს ხალხებს მოუწოდა ერთობლივი ბრძოლა აწარმოონ, რათა არ დაუშვან ომი და უზრუნველყონ მშვიდობა. „ჩვენ მიგაჩნია, — ნათქვამია მოწოდებაში, — რომ სახელმწიფოთა შორის არ არსებობს ისეთი უთანხმოება, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ გადაიჭრას.

კმარა ქალაქებისა და ქვეყნების ნგრევა, კმარა მომაკვდინებელი იარაღის დაგროვება, კმარა სიძულვილის ქადაგება და ომისაკენ მოწოდება! დროა დავადგეთ მოლაპარაკების გზას, დროა შევთანხმდეთ!“

სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანთა ეს ერთსულოვანი განცხადება მოწმობს, რომ არ არსებობს ისეთი სადავო საკითხები, რომელთა გადაჭრა არ შეიძლებოდეს, თუ იქნება კეთილი ნება მშვიდობისადმი. ყველამ, ვისაც ნამდვილად სურს მშვიდობა, ერთობლივი ღონისძიებებით უნდა გადაულობოს გზა ომს!

კონგრესის დელეგატებმა მთელი ხმით განაცხადეს, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს. გამოხატა რა მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის მოთხოვნა, კონგრესმა ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი მიმართვაში მოუწოდა მათ შეუდგნენ მოლაპარაკებას მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მიმართვაში ნათქვამია, რომ შეთანხმება ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის, მშვიდობის პაქტის დადება ბოლოს მოუღებს საერთაშორისო დაძაბულობას და უდიდესი უბედურებისაგან იხსნის მსოფლიოს. ხალხები მოითხოვენ ამას.

ბევრმა დელეგატმა განაცხადა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს ამჟამად წარმოებული ომები. „დღევანდელი ომის შეწყვეტა, — თქვა დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენელმა გო მო-ჟომ, — მოასწავებს კიდევ უფრო დიდი ომის — ხვალინდელი ომის თავიდან აცილებას“. კორეის, ვიეტნამის დელეგატებმა აღნიშნეს, თუ რა უდიდესი უბედურება და ტანჯვა მიაყენეს მათს ხალხებს იმპერიალისტმა აგრესორებმა.

კონგრესმა მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი საომარი მოქმედება კორეაში, განაცხადა რა, რომ შეთანხმების არავითარი შანსი არ არის, სანამ ინგრევა ქალაქები, სანამ ინგრება სისხლი. მოწოდება შეიცავს აგრეთვე მოთხოვნას — დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება ვიეტნამში, ლაოსში, კამბოჯასა და მალაიაში.

კონგრესმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. იმპერიალიზმი სულს უხუთავს არა მარტო აფრიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ოკეანიის ხალხებს, არამედ ხელყოფს ყველა ქვეყნის ეროვნულ დამოუკიდებლობას. ჩაგრული ხალხები სულ უფრო გაბედულად ირაზმებიან ეროვნული სუვერენიტეტისათვის სამბრძოლველად, იმპერიალისტი კოლონიზატორების უღლის წინააღმდეგ საბრძოლველად. ყველა ხალხის წარმომადგენლებმა მოწოდებაში ერთსულოვნად განაცხადეს:

„ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი აცხადებს, რომ ყველა ხალხს აქვს უფლება განაგოს თავისი ბედი და აირჩიოს საკუთარი ცხოვრების წესი ისე, რომ არავინ არ ერეოდეს მათს საშინაო საქმეებში, რა მოტივითაც უნდა ამართლებდნენ ამ ჩარევას. ყველა სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობა მშვიდობის უტყუარი საწინდარია.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ყოველგვარი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც, შეურაცხყოფს რა ადამიანის შეგნებას, აორკეცებს ომის საფრთხეს“.

ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება გერმანიისა და იაპონიის პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის საკითხს. ამერიკის იმპერიალიზმი გერმანიასა და იაპონიას ითრევს სახელმწიფოთა აგრესიულ ბლოკში, რომელსაც სათავეში უდგანან ამერიკის შეერთებული შტატები. იგი ცდილობს საზარბაზნე ხორცად გამოიყენოს გერმანელი და იაპონელი ხალხები. მაგრამ არსებობს გერმანიისა და იაპონიის პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის გზა. ამისათვის, როგორც კონგრესმა თავის მოწოდებაში აღნიშნა, საჭიროა უმოკლეს ვადაში დაიდოს გაერთიანებულ დემოკრატიულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, რომლითაც გამორიცხული იქნება მისი მონაწილეობა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ყოველ სამხედრო კავშირში, გერმანიასთან, სადაც არ იქნება ნაციზმი და მილიტარიზმი, რომლებმაც წარსულში ესოდენ დიდი უბედურება მოუტანეს ევროპას. კონგრესმა აგრეთვე მოითხოვა იაპონიასთან დაიდოს საზავო ხელშეკრულება, რომელიც ბოლოს მოუღებს მის ოკუპაციას და საშუალებას მისცემს იაპონელ ხალხს დაუბრუნდეს მშვიდობიანი ერების ოჯახს. კონგრესმა განაცხადა, რომ საჭიროა განახლდეს მოლაპარაკება, დაკავშირებული სახელმწიფო ხელშეკრულების დადებასთან, რომელიც უზრუნველყოფს ავსტრიის, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას.

გამოხატა რა მშვიდობისმოყვარე ხალხების ნება, კონგრესმა მოითხოვა დაუყოვნებლივ აიკრძალოს ბაქტერიოლოგიური ომი, აუცილებლად აიკრძალოს ატომური იარაღი და სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღი; დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, რომელიც უნდა იყოს სამართლიანი და არა ცალმხრივი; რაც შეიძლება მალე განახლდეს სახელმწიფოთა შორის მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა გაცვლა. კონგრესი აგრეთვე მოითხოვს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაიკავოს ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის, და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღონ 14 სახელმწიფო, რომლებიც დღემდე მოკლებული არიან იმის საშუალებას, რომ ხმა აღიმაღლონ იქ.

კონგრესის ტრიბუნიდან კვლავ გაისმა მსოფლიოს ხალხთა სამართლიანი მოთხოვნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უშიშროების გარანტია მიანიჭოს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, რომ არ იძლეოდეს მისი წესდების შინაარსი და ფორმა. „დასასრულ მოვითხოვთ, — ნათქვამია მოწოდებაში, — რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლავ გახდეს ის ადგილი, სადაც მთავრობები ერთმანეთს უთანხმდებიან, და აღარ გაუცრუოს მსოფლიოს ყველა ხალხს ის იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებენ“.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება და იწონებს კონგრესის მიერ მიღებულ დოკუმენტებს. საბჭოთა ხალხს ეს დოკუმენტები მიაჩნია მშვიდობისათვის მებრძოლი ასეულ მილიონობით ადამიანის კეთილი ნების გამოხატულებად. საბჭოთა კავშირის ინტერესები კი, როგორც ი. ბ. სტალინმა აღნიშნა, საერთოდ განუყოფელია მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისაგან. ამას კვლავ და კვლავ მტკიცედ ყველაზე ადრე მოწმობს გუშინ გამოქვეყნებული დადგენილება იმის შესახებ, რომ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიები მიენიჭა მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლთა ახალ ჯგუფს, რომელნიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული ძალების წარმომადგენელნი არიან.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი მოასწავებს ხალხთა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ აღმავლობას.

„ხალხებს შეუძლიათ შეცვალონ მოვლენათა მსვლელობა, — ნათქვამია კონგრესის მოწოდებაში, — დაუბრუნონ ადამიანებს იმის რწმენა, რომ ჩვენ ხალხებს ეს დღე მშვიდობიანი დღე იქნება“.

ეჭვი არ არის, რომ კონგრესის მოწოდებას მსოფლიოს ხალხებისადმი ცხოვლად გამოეხმაურება ყველა ქვეყნის ასეულ მილიონობით კეთილი ნების ადამიანი.

„პრავდის“ 22/XII მოწინავე.

დიდი ღიმღრავეური საღამო გორში

გორი. (საკ. კორ.). 21 დეკემბერს დილიდანვე დიდი გამოცოცხლება ეტყობოდა ისტორიული დიდების ქალაქს — გორს. აქ ყოველდღე მრავალი სტუმარი ჩამოდის სხვადასხვა კუთხეებიდან, მაგრამ ამ დღეს განსაკუთრებით დიდი იყო ჩამოსულთა რიცხვი. ჩამოვიდნენ ექსკურსანტთა ჯგუფები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, კრასნოდარიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან... სტუმრებმა უდიდესი ინტერესით დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა.

საღამოს, გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის ტრადიციული ლიტერატურული საღამო. აქ თავი მოიყარეს გორის მშრომელებმა. მრავალი სტუმარი იყო თბილისიდან, მეზობელი რაიონებიდან, სამხრეთ ოსეთიდან.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. ს. ჭილაიამ.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ეგნატაშვილი.

დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები და ნაწყვეტები მოთხრობებიდან წაიკითხეს მწერლებმა ა. მირცხულავამ, ს. ჩიქოვანმა, ავსტრიელმა პოეტმა ჰუპერტმა, კ. ლორთქიფანიძემ, ი. ნონეშვილმა, ხ. ბერულავამ, ა. გომიაშვილმა, რ. მარგიანმა, ს. ფაშალიშვილმა, შ. ამისულაშვილმა, კ. კალაძემ და სხვა.

დასასრულ თბილისის არტისტთა ძალებით, აგრეთვე სამხრეთ ოსეთისა და გორის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლების მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი.

ხარკოველმა ფრაქტორმშენებლებმა წლიური გეგმა შეასრულეს

ხარკოვი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა დაამთავრა წლიური გეგმის შესრულება.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით ქარხანამ მიიღო ორ მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება — ვალდებულებით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი.

ბიუროკრატიზმისათვის და დავალებათა შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის — სასტიკ პარტიულ პასუხისგებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. შუბლაძე უპასუხისმგებლოდ, ბიუროკრატიულად ეკიდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივულ მითითებათა შესრულებას. ცენტრალური კომიტეტის დირექტივებისადმი ამხ. შუბლაძის ასეთმა დამოკიდებულებამ, მუშაობაში უპასუხისმგებლობამ, რაც გამოიჩინა მან, როგორც რაიონული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, გამოიწვია სამტრედიის რაიონის სერიოზული ჩამორჩენა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა და დავალებათა შესრულებისადმი უპასუხისმგებლო, ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამხ. შუბლაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ამხ. შუბლაძეს გაფრთხილება მიეცა, რომ თუ მან უახლოეს ხანში არ გამოასწორა მდგომარეობა რაიონში და არ უზრუნველყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თვითეული მითითების უყოყმანოდ შესრულება, იგი მოხსნილ იქნება საშუშაოდან და გაირიცხება პარტიიდან.

მშვიდობის სტალინური პრემიების ლაურეატები

○

აკად. დ. ვ. სკობელცინი,

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

○

მოხდა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების მორიგი მინიჭება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული ძალების თვალსაჩინო წარმომადგენელთა ახალმა ჯგუფმა — ივ ფარუმ, საიფუდინ კიტჩლუმ, ელიზა ბრანკომ, პოლ რობსონმა, ჯეიმს ენდიკოტმა, იოჰანეს ბეხერმა, ილია ერენბურგმა — მიიღო დამსახურებული ჯილდო. ეს ჯილდო აღნიშნავს დიდ წვლილს, რომელიც თვითეულმა ამ მოღვაწემ შეიტანა მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში.

წელს საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭება დაემთხვა ხალხთა ვენის კონგრესის დამთავრებას, რომელმაც ცხადყო მშვიდობის ძალთა გაზრდილი ძლიერება და მშვიდობისათვის მებრძოლთა საერთაშორისო მოძრაობის რიგების შემდგომი გაფართოება. ყველა ხალხის განუხრელი მისწრაფება მშვიდობიანი თანაშრომლობისადმი საფუძვლად უდევს ამ მძლავრ მორალურ და პოლიტიკურ მოძრაობას, რომელმაც დღეს მთელი მსოფლიო მოიცვა. ყოველ წელს ცხობილი ხდება მშვიდობის საქმისათვის მედგარ მებრძოლთა სულ ახალი და ახალი სახელები.

მიანიჭა რა პრემიები 1952 წლისათვის, მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მან გამოხატა მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანთა გრძნობა, რომლებიც იცნობენ და მხურვალედ იწონებენ კომიტეტის დადგენილებაში დასახელებული ხალხთა წარმომადგენლების მოღვაწეობას.

საფრანგეთის პატრიოტები კმაყოფილებით წაიკითხავენ დაჯილდოებულთა შორის საფრანგეთის პროგრესული მოღვაწის **ივ ფარუის** სახელს. ამ სახელს თვითეული ფრანგი უკავშირებს წარმოდგენას თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტზე, რომელიც უკვე მრავალი წელია იბრძვის მისი ეროვნული ღირსებისა და თავისუფლების ყველა აქტიურ დამცველთა რიგებში. ასე იცნობენ ივ ფარუს ფრანგი ხალხის ფართო წრეები. ჰიტლერული ოკუპაციის წლებში იგი სათავეში ედგა გერმანიაში ფრანგთა ძალდატანებით გარეკვის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ კომიტეტს. ომისშემდგომ წლებში, როგორც კი ჰორიზონტზე დაისახა ახალი ომის საფრთხე, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები ამზადებენ, ივ ფარუი ერთ-ერთი პირველი ჩადგა მშვიდობის შენარჩუნებისათვის მებრძოლთა რიგებში. იგი არის მშვიდობის მომხრეთა საფრანგეთის ეროვნული ორგანიზაციის უცვლელი ხელმძღვანელი და მშვიდობისათვის მებრძოლთა საერთაშორისო კონგრესების აქტიური მონაწილე. ყველა პატრიოტთან ერთად იგი იბრძვის საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დამამცირებელი აგრესიული კავშირებიდან საფრანგეთის გამოსვლისა და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან თანამშრომლობის დამყარებისათვის.

1952 წელს ივ ფარუი იყო კორეასა და ჩინეთში. ამ მოგზაურობის შედეგად მან გამოაქვეყნა წიგნი „სიმართლე ჩინეთისა და კორეის შესახებ“, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზე, რადგან მისი ავტორი იყო ადამიანი, რომლის ობიექტურობა და უანგარობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ივ ფარუი, იმ საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენელი, რომლებისთვისაც ძვირფასია საფრანგეთის ღირსება და დამოუკიდებლობა, მშვიდობის დაცვის მოძრაობის ფართო, დემოკრატიული ხასიათის ცოცხალი განსახიერებაა.

წელს მშვიდობის სტალინური პრემია პირველად მიენიჭა ინდოეთის ხალხთა წარმომადგენელს. დოქტორი **საიფუდინ კიტჩლუ** ფართოდ ცნობილია თავის ქვეყანაში და აზიის სხვა ქვეყნებში, როგორც მსოფლიოს ამ ნაწილში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის აქტიური მებრძოლი, როგორც თანმიმდევარი მებრძოლი კორეაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ და იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინების პოლიტიკის მტკიცე მოწინააღმდეგე.

ინდოეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძველი მონაწილე და ხელმძღვანელი მოღვაწე, რომელსაც არაერთხელ განუცდია დევნა კოლონიზატორების მხრივ, დოქტორი ს. კიტჩლუ სავსებით კანონზომიერად მივიდა მშვიდობის საქმისათვის აქტიური ბრძოლის იდეამდე. ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ახლა მჭიდროდ დაკავშირებულია საყოველთაო მშვიდობის დაცვის მსოფლიო მოძრაობის წარმატებასთან. თავის სიტყვაში აზიისა და წყნარი ოკეანის მშვიდობის მომხრეთა ამასწინანდელ კონგრესზე პეკინში დოქტორი ს. კიტჩლუ აღნიშნავდა: „იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ გამოიყენონ აზიის ქვეყნების მნიშვნელოვანი უმრავლესობის ეკონომიკური ჩამორჩენილობა, რათა გვაიძულონ მივიღოთ მათი ომის პოლიტიკა და საშუალება მივცეთ მათ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ ჩვენი რესურსები. ჩვენ უნდა ჩავფუშოთ ეს ცდები, ბოლო უნდა მოვუღოთ ომებს, რომლებიც დედამიწაზე წარმოებს“.

დოქტორი ს. კიტჩლუ ეკუთვნის ინდოეთის მმართველ პარტიას — ინდოეთის ეროვნულ კონგრესს. მშვიდობის მომხრეთა რიგებში თავისი მოღვაწეობით იგი ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მშვიდობის დაცვა სულ სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და პარტიული მიმართულების ადამიანთა საქმეა. ინდოეთის დიდი ხალხი კმაყოფილებით შეხვდება თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის დაჯილდოებას, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დაუმტკიცებია ხალხის ინტერესებისადმი ერთგულება.

მსოფლიოს მეორე ნაწილში თავდადებით იბრძვის ბრაზილიელი პატრიოტი **ელიზა ბრანკო.** მან, წარსულში საფეიქრო ფაბრიკის მუშამ, ცხოვრების მკაცრი სკოლა განვლო. ბრაზილიელ ქალთა ფედერაციის რიგებში იგი მჩქეფარე მოღვაწეობას ეწევა მშვიდობისა და ქალთა უფლებების დასაცავად. 1950 წლის 7 სექტემბერს ელიზა ბრანკოს სახელი მძლავრად გაისმა მთელ ბრაზილიაში. ამ დღეს იგი გაბედულად გამოვიდა სან-პაულოს შტატში, ჯარისკაცების წინაშე, რომლებიც სამხედრო პარადისათვის იყვნენ გამწკრივებულნი. გაშალა რა მათ წინაშე დროშა წარწერით: „ჩვენი შვილები არ წავლენ ჯარისკაცებად კორეაში“, მან მგზნებარე სიტყვით მიმართა მათ: „ჯარისკაცებო, ჩვენო შვილებო, უარი თქვით კორეაში წასვლაზე! ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი მახლობლების დაღუპვას. ჩვენ არა გვსურს ობლების ახალი არმია, დანგრეული კერები და დედების ცრემლი!“.

ამ გამოსვლისათვის ელიზა ბრანკო დაატყვევეს და პატიმრობა მიუსაჯეს. ვერც მხეცურმა რეჟიმმა, ვერც წამებამ ვერ გატეხა ამ მამაცი ქალის ნება. საპყრობილიდან იგი მგზნებარე წერილებს უგზავნის ბრაზილიელ ქალებს, მშვიდობისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანებს მათ. „ამერიკისა და აზიის მშვიდობის მომხრენი, სადაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი, გაიმარჯვებენ, — ნათქვამია მის ერთ-ერთ წერილში, — რადგან მათ იციან, რომ სურთ მშვიდობა. ჩვენი იდეა გაიმარჯვებს, რადგან სიმართლე ჩვენს მხარეზეა. ჩვენ სიცოცხლისათვის ვიბრძვით!“.

ელიზა ბრანკოს სახელი გახდა სიმბოლო ბრაზილიელი პატრიოტების ბრძოლისა იმის წინააღმდეგ, რომ მათი ქვეყანა მონაწილეობას იღებდეს კორეის აგრესიულ ომში, რომელშიც ბრაზილიას ამერიკელი იმპერიალისტები ითრევენ. ლათინური ამერიკის ქვეყნებში გაჩაღებული ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის ზეგავლენით ელიზა ბრანკო გაათავისუფლეს. ხალხის უდიდესმა მასებმა გააცილეს თავიანთი საყვარელი მებრძოლი საპატიმროდან ბრაზილიელ ქალთა ფედერაციის შენობამდე. ბრაზილიაში დაარსდა ელიზა ბრანკოს სახელობის პრემია, რომელსაც ანიჭებენ მშვიდობის დაცვის მოძრაობის აქტიურ მონაწილეებს. ელიზა ბრანკოს სახელი ახლა სამართლიანად დგას მშვიდობის სტალინური პრემიის ლაურეატთა სახელების გვერდით.

მშვიდობის სტალინური პრემია მიენიჭა მთელ მსოფლიოში განთქმულ მომღერალს, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო მოღვაწეს **პოლ რობსონს.** რობსონის სახელი გახდა ჩაგრული ზანგი ხალხის დროშა, ყველა პატიოსანი ამერიკელის დროშა იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რეაქციისა, რომელიც ამზადებს ამერიკელი ხალხის დამღუპველ ომს. მამაცურად იტანს რობსონი შევიწროებას და დევნას. მისი სიმტკიცე და ამერიკის პროგრესული ძალების საბოლოო გამარჯვებისადმი რწმენა შთამაგონებლად მოქმედებს მილიონობით ამერიკელზე, რომლებიც ომის ისტერიისა და პოლიციური ტერორის ატმოსფეროში ცხოვრობენ. ამერიკელი რეაქციონერები ვერ აწმობენ რობსონის მძლავრ ხმას, რომელიც გახდა თვით ხალხის ხმა, მრისხანე გაფრთხილებას რომ აძლევს ომის გაჩაღებლებს. მრავალათასიან მიტინგებზე, რომლებიც ხშირად გარშემორტყმულია პოლიციის კორდონებით, უშიშრად გაისმის რობსონის სიმღერა და ხალხის ძალებისადმი ღრმა რწმენით აღსავსე მისი სიტყვები. მისი მართალი სიტყვის შიშით ამერიკის ხელისუფლებმა რობსონს აუკრძალეს ამერიკის შეერთებულ შტატებიდან სხვა ქვეყნებში წასვლა. მაგრამ რობსონი ყველა ქვეყნის მშვიდობის დამცველებთან ერთად არის. მშვიდობისათვის მებრძოლთა საერთაშორისო კონგრესებზე ჩვენი ხალხთა წარმომადგენლების ხმებთან ერთად გაისმის აფსკზე ჩაწერილი რობსონის ხმა.

პოლ რობსონისათვის მშვიდობის სტალინური პრემიის მინიჭებას კმაყოფილებით შეხვდება ამერიკის ყველა პატიოსანი ადამიანი, რომლებისთვისაც კომიტეტის დადგენილება ნიშნავს იმას, რომ მათ ღონისძიებებს ჯეროვნად აფასებს საერთაშორისო პროგრესული კაცობრიობა.

საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატთა შორისაა გერმანელ პოეტ **იოჰანეს ბეხერის** სახელი. ამჟამად, როცა გერმანია ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების ხრიკებით გათიშულია, ხოლო მისი დასავლეთი ნაწილი ნახევრად კოლონიისა და ამერიკელი სამხედრო ავანტიურისტებისათვის საზარბაზნე ხორცის მიმწოდებლის მდგომარეობაშია, გერმანული კულტურის მოღვაწეებს შეუძლიათ შეასრულონ და კიდევაც უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი თავიანთი ქვეყნის ეროვნული ამოცანების დემოკრატიულად გადაჭრაში. კულტურის სწორედ ასეთ გერმანელ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის იოჰანეს ბეხერი, ძველი ანტიფაშისტი, შრომისა და ბრძოლის მომღერალი, ვისი ლიტერატურული შემოქმედება და პრაქტიკული მოღვაწეობა შთაგონებულია ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის, გერმანელი ერის განვითარების დემოკრატიული გზისათვის ბრძოლის იდეებით. პოეტის ლექსთა კრებულნი, მისი პუბლიცისტიკა გერმანელ ხალხს მოუწოდებს შექმნას ახალი ცხოვრება, აშენოს თანასწორუფლებიანი დემოკრატიული რესპუბლიკა, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ოჯახში პატივცემული დემოკრატიული რესპუბლიკა.

მშვიდობის სტალინური პრემია მიენიჭა კანადელ მეცნიერს, ხელოვნების მაგისტრს, თეოლოგიის დოქტორს **ჯეიმს ენდიკოტს.** დოქტორმა ენდიკოტმა მრავალი წელი გაატარა ჩინელ ხალხში, როცა იგი კანადის გაერთიანებული ეკლესიის მისიონერი იყო ჩინეთში. აქ იგი თითონ დარწმუნდა, რომ სამართლიანია ჩაგრულ ხალხთა მოთხოვნა, რომლებსაც თავისუფლებისა და უზრუნველყოფილი ცხოვრების ისეთივე უფლება აქვთ, როგორიც მსოფლიოს ყველა ადამიანს. ჩინეთში მან ამხილა გომინდანელთა რეჟიმის რეაქციულობა და გამყიდველობა და მიესალმა სახალხო რევოლუციის გამარჯვებას.

კანადაში რომ დაბრუნდა, დოქტორი ენდიკოტი ჩაება მშვიდობისათვის აქტიურ ბრძოლაში, რადგან შეიგნო, თუ რა საფრთხეს უქმნის ხალხს მმართველი წრეების პოლიტიკა, რომლებმაც ამერიკის იმპერიალიზმს დაუმორჩილეს კანადა. მალე ჯეიმს ენდიკოტი გახდა აღიარებული ლიდერი მშვიდობის კანადელი დამცველებისა, რომლებიც ხედავენ, რომ მისი მოღვაწეობა ხალხის კეთილდღეობისადმი ნამდვილი სამსახურის მაგალითია.

1952 წელს დოქტორი ენდიკოტი კვლავ ჩავიდა ჩინეთში. აქ იგი დარწმუნდა, რომ ამერიკელი იმპერიალისტები საზარელ დანამაულს სჩადიან — იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს. კანადაში დაბრუნების შემდეგ დოქტორმა ენდიკოტმა გამოსცა გულისწყრომით აღსავსე წიგნი: „მე ბოალს ვდებ“. მან მოიყვანა უცილობელი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ ამერიკის ჯარების ბარბაროსულ მოქმედებას კორეასა და ჩინეთში, და მოუწოდა ყველა კეთილი ნების კანადელს გააძლიერონ ბრძოლა კორეიდან კანადის ჯარების გამოწვევისათვის. ვერც მისი პასუხისგებაში მიცემის ცდამ, ვერც გაზეთების მხრივ ცილისწამებამ ვერ შეაშინა დოქტორი ენდიკოტი, რომელსაც სწამს მშვიდობის საქმის სიმართლე და გაბედულად დგას მის დამცველთა რიგებში. დოქტორი ჯეიმს ენდიკოტი სიტყვით და საქმით იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის და, მაშასადამე, კანადის ხალხების სასიცოცხლო ინტერესებისათვის, ხალხებისა, რომლებიც ისევე დაინტერესებული არიან საყოველთაო მშვიდობით, როგორც სხვა ხალხები.

მშვიდობის სტალინური პრემიით დაჯილდოებულია საბჭოთა მწერალი **ილია ერენბურგი.** ერენბურგის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთა ომისშემდგომ მოძრაობასთან მშვიდობის დაცვისათვის. ბრწყინვალე პუბლიცისტმა, ნიჭიერმა რომანისტმა ილია ერენბურგმა ხელი შეუწყო იმ იდეების ფართოდ გავრცელებას მსოფლიოში, რომლებიც დღეს აღაფრთოვანებს ყველა ქვეყნის მშვიდობისათვის მილიონობით მებრძოლს. მშვიდობის მტრებს არაერთხელ განუცდიათ ერენბურგის სატირის გამანადგურებელი ძალა. თავის მკვეთრ პამფლეტებში, ისე როგორც რომანში „მეცხრე ტალღა“, ერენბურგმა ამხილა უბადრუკობა და შინაგანი სიცარიელე მსოფლიო ბატონობის ამერიკელი პრეტენდენტებისა, ეგრეთწოდებული „დასავლეთის კულტურის“ მატარებლებისა, რომლებიც ფრაზებით „კულტურის დაცვის“ შესახებ ნიღბავენ სიკვდილით მოვაჭრეთა ანგარებითს ინტერესებს, მომავალ ომში მილიარდობით მოგებაზე რომ ოცნებობენ.

აღნიშნავენ რა დღეს ერენბურგის, როგორც მშვიდობის სტალინური პრემიის ლაურეატის, დამსახურებას, საბჭოთა ადამიანებს ამ გამოჩენილი საბჭოთა მწერლის დაჯილდოება მიიჩნიათ იმ აღიარების დადასტურებად, რომლითაც მთელ მსოფლიოში სარგებლობს ჩვენი სოციალისტური კულტურა, რომლის მთავარი შინაარსია ადამიანის ამაღლება, პროგრესის ძალთა გამარჯვება რეაქციის ძალებზე.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატთა ახალ ჯგუფს და სრულ წარმატებას უსურვებს მათ კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

საბჭოთა კავშირის ინტერესები გაუყრელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან, თქვა ჩვენმა ბელადმა ი. ბ. სტალინმა. სხვადასხვა ხალხის, სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და პარტიული მიმართულების წარმომადგენლებისათვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭება ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან მისწრაფებას, ცხადყოფს, რომ იგი მზად არის ითანამშრომლოს ყველა ხალხის ფართო ფენებთან ისეთ დემოკრატიულ საქმეში, როგორიცაა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვა.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწოდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიწვია რა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი, მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ცხადყო მისწრაფება იმისადმი, რომ გააერთიანოს იმ სხვადასხვა ორგანიზაციის, მოძრაობისა და მიმდინარეობის კეთილშობილური ღონისძიებანი, რომლებიც ბევრ საკითხზე სხვადასხვა აზრისა არიან, მაგრამ ესწრაფვიან ხალხთა შორის თანხმობას და სურთ ერთობლივი ბრძოლა აწარმოონ, რათა არ დაუშვან ომი და უზრუნველყონ მშვიდობა.

თავისუფალმა დისკუსიამ ცხადყო კონგრესის ერთსულოვანი ნება ბოლო მოუღოს ძალის პოლიტიკას, რომელმაც დიდი უბედურება მოუტანა ხალხებს და ახალ კატასტროფას უქადის კაცობრიობას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოთა შორის არ არსებობს ისეთი უთანხმოება, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ გადაიჭრას.

კმარა ქალაქებისა და ქვეყნების ნგრევა, კმარა მომაკვდინებელი იარაღის დაგროვება, კმარა სიძულვილის ქადაგება და ომისაკენ მოწოდება! დროა დავადგეთ მოლაპარაკების გზას, დროა შევთანხმდეთ!

ჩვენ მივმართავთ ხუთი დიდი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საფრანგეთის მთავრობებს, რომლებზეც ესოდენ დიდად არის დამოკიდებული მთელი მსოფლიოს მშვიდობა; მოვუწოდებთ მათ დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს. ხალხები ელიან მათს პასუხს, ხალხები ყველაფერს გააკეთებენ, რათა მოლაპარაკების სულისკვეთებამ გაიმარჯვოს.

ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი საომარი მოქმედება კორეაში.

შეთანხმების არავითარი შანსი არ არის, სანამ ინგრევა ქალაქები, სანამ იღვრება სისხლი. როცა საომარი მოქმედება შეწყდება, მეომარი მხარეები უფრო ადვილად შეთანხმდებიან სადავო საკითხებზე.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მიუკერძებელ, სამართლიან და ჰუმანიურ მოთხოვნას მხარს დაუჭერს კეთილი ნების ყველა ადამიანი.

ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ აგრეთვე, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება ვიეტნამში, ლაოსში, კამბოჯასა და მალაიაში, რომ პატივი სცენ ამ ქვეყნების ხალხთა დამოუკიდებლობის უდავო უფლებას.

ჩვენ მოვითხოვთ შეწყდეს ძალადობა, რომლის მიზანია ჩაახშოს ისეთი ქვეყნების კანონიერი მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, როგორიც არის ტუნისი და მაროკო.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი აცხადებს, რომ ყველა ხალხს აქვს უფლება განაგოს თავისი ბედი და აირჩიოს საკუთარი ცხოვრების წესი ისე, რომ არავინ არ ერეოდეს მათს საშინაო საქმეებში, რა მოტივითაც უნდა ამართლებდნენ ამ ჩარევას. ყველა სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობა მშვიდობის უტყუარი საწინდარია.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ყოველგვარი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც შეურაცხყოფს რა ადამიანის შეგნებას, აორკეცებს ომის საფრთხეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამხედრო პაქტები, რომლებშიც უფრო ძლიერი სახელმწიფო უფრო სუსტ სახელმწიფოს ითრევს, რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელთა ბაზებისა და ჯარების ყოფნა სერიოზულ საფრთხეს უქმნის უშიშროებას ამ ქვეყანაში, რომელიც შეიძლება ომში ჩაითრიონ მისი ნების წინააღმდეგ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო, რომელიც არავითარ კოალიციაში არ მონაწილეობს და თავის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარები არა ჰყავს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს აშკარა თუ ფარული აგრესიის საფრთხისაგან.

უკანასკნელი ომის ორი კერა ქმნის ევროპასა და აზიაში ახალი ხანძრის საფრთხეს. მაგრამ შეიძლება და კიდევაც უნდა მივაღწიოთ მოლაპარაკების გზით გერმანიისა და იაპონიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა გაერთიანებულ დემოკრატიულ გერმანიასთან უმოკლეს ვადაში დაიდოს საზავო ხელშეკრულება, რომლითაც გამორიცხული იქნება მისი მონაწილეობა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ყოველ სამხედრო კავშირში, გერმანიასთან, სადაც არ იქნება ნაციზმი და მილიტარიზმი, რომლებმაც წარსულში ესოდენ დიდი უბედურება მოუტანეს ევროპას. ჩვენ მოვითხოვთ იაპონიასთან დაიდოს საზავო ხელშეკრულება, რომელიც ბოლოს მოუღებს მის ოკუპაციას და საშუალებას მისცემს იაპონელ ხალხს დაუბრუნდეს მშვიდობიანი ერების ოჯახს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა განახლდეს მოლაპარაკება, დაკავშირებული ავსტრიის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულებასთან, რომელიც ავსტრიას გაათავისუფლებს უცხოეთის ოკუპაციისაგან.

ჩვენ გავეცანით მოხსენებებს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ, რომლებიც წარმოადგინეს კორეასა და ჩინეთში ნამყოფმა სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილმა სპეციალისტებმა. ამ მოხსენებებით შეძრწუნებულნი, ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ დაუყოვნებლივ აიკრძალოს ბაქტერიოლოგიური ომი და ყველა სახელმწიფომ მოაწეროს ხელი ჟენევის 1925 წლის ოქმს. მეცნიერების დიდი მიღწევები არ უნდა იყოს მილიონობით უმწეო ადამიანის მოსპობის საშუალება. ჩვენ აგრეთვე მოვითხოვთ აუცილებლად აიკრძალოს ატომური იარაღი, ქიმიური იარაღი და სამოქალაქო მოსახლეობის მოსპობის სხვა საშუალებანი.

ჩვენ ვგმობთ ბევრ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გამალებულ შეიარაღებას შეუძლია განამტკიცოს სახელმწიფოთა უშიშროება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამალებული შეიარაღება პირიქით აძლიერებს საფრთხეს ყველა დიდი თუ მცირე სახელმწიფოსათვის.

გამოვთქვამთ რა ხალხთა ნებას, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, რომელიც უნდა იყოს სამართლიანი და არა ცალმხრივი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ საყოველთაო, ერთდროული, თანდათანობითი და პროპორციული განიარაღება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ხალხის წარმომადგენელთა სურვილს, რომელნიც მტკიცედ მოითხოვენ, რომ რაც შეიძლება მალე განახლდეს სახელმწიფოთა შორის მატერიალური და კულტურული ფასეულობის გაცვლა. საგარეო ვაჭრობის დარგში, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების გაცვლის დარგში არსებული დაბრკოლებანი ხელს უშლიან კაცობრიობის კეთილდღეობასა და პროგრესს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება უშიშროების გარანტიაა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსათვის, მაგრამ ამ წესდების შინაარსი და ფორმა დარღვეულია. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაიკავოს ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის. ჩვენ აგრეთვე მოვითხოვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღონ 14 სახელმწიფო, რომლებიც დღემდე მოკლებული არიან იმის საშუალებას, რომ ხმა აღიმაღლონ იქ.

დასასრულ მოვითხოვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლავ გახდეს ის ადგილი, სადაც მთავრობები ერთმანეთს უთანხმდებიან, და აღარ გაუცრუოს მსოფლიოს ყველა ხალხს ის იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებენ. ხალხებს სურთ მშვიდობიანად იცხოვრონ, მიუხედავად იმისა, თუ როგორია საზოგადოებრივი წყობილება მათს ქვეყანაში და როგორია მათი უმაღლესი იდეალი. ომი სძულს ყველა ხალხს, ომი საფრთხეს უქმნის ყველა აკვანს. ხალხებს შეუძლიათ შეცვალონ მოვლენათა მსვლელობა, დაუბრუნონ ადამიანებს იმის რწმენა, რომ ხვალინდელი დღე მშვიდობიანი დღე იქნება.

მოვუწოდებთ მსოფლიოს ხალხებს იბრძოლონ მოლაპარაკებისა და შეთანხმების სულისკვეთებისათვის, ადამიანთა მშვიდობის უფლებისათვის!

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვა ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი

შალის, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების მოწესრიგების საშუალების, გამოყენების უარყოფა დღითიდღე სულ უფრო საჭირო ხდება.

ყველა ქვეყნის უკვე 600 მილიონმა მამაკაცმა და ქალმა სრული პასუხისმგებლობის გრძნობით ხელი მოაწერა მოთხოვნას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების შესახებ, რათა დაიდოს მშვიდობის პაქტი.

საზოგადოებრივი აზრის მთელ რიგ მნიშვნელოვან მიმდინარეობათა წარმომადგენლებმაც მხარი დაუჭირეს ძალის პოლიტიკის უარყოფას—მოლაპარაკების პოლიტიკის სასარგებლოდ. გამოხატავს რა კაცობრიობის ნებას, ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი, რომელიც 1952 წლის 12 დეკემბერს შეიკრიბა ვენაში, საზეიმოდ მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს დაიწყონ ეს მოლაპარაკება, რომელზეც დამოკიდებულია მშვიდობის შენარჩუნება.

ხუთი დიდი სახელმწიფოს შეთანხმება, მშვიდობის პაქტის დადება ბოლოს მოუღებს საერთაშორისო დაძაბულობას და იხსნის მსოფლიოს უდიდესი უბედურებისაგან.

ხალხები მოითხოვენ ამას.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

18 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. რომანოვის მოხსენება მოსკოვის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის XIX ყრილობამ მთელი სიგრძე-სიგანით დასახა იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა. იდეოლოგიურ მუშაობას განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში. პარტიის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების განხორციელება მოითხოვს კადრების იდეური წრთობის შემდგომ გაუმჯობესებას, მეშოფლთა პოლიტიკური სიფხიზლისა და შეგნებულობის ამაღლებას. იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებს „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

პარტიამ შექმნა პოლიტიკური განათლების მწყობრი სისტემა, მოამზადა პროპაგანდისტთა მრავალრიცხოვანი კადრები. მოსკოვის პარტიული განათლების სისტემაში და სასწავლებლებში მეცადინეობს საქალაქო ორგანიზაციის შემადგენლობის 94 პროცენტი. მარქსისტულ-ენინურ თეორიას კომუნისტებთან ერთად სწავლობს ათეულ ათასობით კომკავშირელი, ასეულ ათასობით უპარტიო ამხანაგი. წლითი წლობით იზრდება იმ კომუნისტების რიცხვი, რომლებიც მეცადინეობენ პარტიული განათლების ქსელის მაღალი ტიპის რგოლებში.

პარტიული აქტივისათვის ეწყობა ლექციები ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიხედვით. ამხანაგ სტალინის შრომის და პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით წაკითხულია ორი ათასზე მეტი ლექცია პარტიულ-საბჭოთა აქტივის, პროპაგანდისტებისა და ინტელიგენციისათვის. საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში აგიტატორები და პროპაგანდისტები აწყობენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა წაკითხვას, საუბრებსა და მოხსენებებს.

პლენუმზე ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობა ჩამორჩება. ამ მოთხოვნებს, რასაც პარტია გვიყენებს. იდეოლოგიურ მუშაობას, როგორც XIX ყრილობაზე ამბ. მალენკოვმა აღნიშნა, საკმაო ყურადღება არ ექცევა. პარტიის საქალაქო კომიტეტი და ბევრი რაიონული კომიტეტი მთლიანად ვერ იყენებენ დიდ შესაძლებლობებს, რაც სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გასაუმჯობესებლად არის დედაქალაქში. ზოგიერთი რაიკომი და პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ არ ზრუნავს პროპაგანდის შინაარსისათვის, რის შედეგად წრეებსა და სემინარებში მეცადინეობა ხშირად ეწყობა არასაკმაოდ მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე.

პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია კადრებთან მუშაობას, მოხსენებაში და კამათში ნათქვამი იყ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე

19 დეკემბრის დღის სხდომა

ვენა, 19 დეკემბერი. (საკუთარი). ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის დღის სხდომა გაიხსნა სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატის **ფიშერის** თავმჯდომარეობით. იგი სიტყვას აძლევს ავსტრიის დელეგაციის წევრს, ცნობილ მეცნიერს, პროფესორ **ბრანდვაინერს**.

თავისი სიტყვის დასაწყისში ბრანდვაინერი ეხება სამართლის მეცნიერების როლს მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგებისათვის ბრძოლაში.

ბრანდვაინერმა თქვა, რომ დემოკრატმა იურისტებმა უნდა იმუშაონ არა მარტო თეორიულ საკითხებზე, არამედ აგრეთვე შეასრულონ პრაქტიკული სამუშაო, რომლის მიზანია ომის გამჩაღებლების მხილება და ამკამად წარმოებული ომების რაც შეიძლება მალე დამთავრება.

ბრანდვაინერმა მაგალითად მოიყვანა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის მუშაობა ამერიკელი ინტერვენტების მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტების გამოსაკვლევად. ამ კომისიამ, თქვა მან, უცილობლად დაამტკიცა, რომ ამერიკელი აგრესორები საზარელ დანაშაულს სჩადიან კორეაში, ეწევიან ქიმიურ ომს, ხოცავენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს და რომ კორეაში ჩადენილი ეს დანაშაულობანი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის სახელით გამოვიდა ქ-ნი **მინი კარტერი**, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა „ცივი ომის“ შეწყვეტის საკითხს.

როგორ უნდა მოეღოს ბოლო „ცივ ომს“? — ამბობს ქ-ნი კარტერი. ამ მხრივ გადაწყვეტილ ნაბიჯი იქნებოდა მოლაპარაკების დაწყება. ჩვენი კონგრესის ერთ-ერთი მთავარი მიზანია იმ სახელმწიფოთა თანხმობის აღდგენა, რომელთა შორის ამჟამად **დიდი** წინააღმდეგობენია.

— ჩვენ კარგად ვიცით, — განაგრძო კარტერმა, — რომ „ცივი ომის“ შეწყვეტისათვის საჭიროა მხარი დაუჭიროთ სხვადასხვა სისტემის თანაარსებობის იდეას. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მშვიდობიანი შეჯიბრება ამ სისტემებს შორის, უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ „ცივი ომის“ წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდიან პროტესტანტული ეკლესია, პროფკავშირები, ზანგთა და სხვა ორგანიზაციები.

„ცივი ომის“ შეწყვეტის ძირითადი პირობები, ამბობს იგი, შემდეგია: სადავო საკითხების ომის გზით გადაჭრის უარყოფა; კორეაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა; ღიდი სახელმწიფოების ერთიანობა, რომელიც საფუძველი უნდა გახდეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გადაუჭრელი ყველა საკითხის მოწესრიგებისათვის; გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა კვლავ უნდა გახდეს ხუთი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკების ადგილი; უნდა აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი და დაწესდეს ეფექტიანი კონტროლი ამ აკრძალვისადმი; საჭიროა იმ შეზღუდვათა შემსუბუქება, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და კულტურულ ურთიერთობას.

დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკებას მოჰყვება მათ შორის პაქტის დადება, ხოლო ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ მშვიდობამ გაიმარჯვა.

სიტყვის დამთავრების შემდეგ კარტერი და ამერიკის დელეგაციის სხვა წევრები მთელი დარბაზის ტაშის გრიალში მიდიან კორეის დელეგაციის წევრებთან. ისინი ეხვევიან კორეელ მეგობრებს, ამერიკელი და კორეელი ქალები თვალცრემლიანი კოცნიან ერთმანეთს, დელეგატები ერთმანეთს უცვლიან ნიშნებსა და ალმებს. დარბაზში გაისმის ორივე დელეგაციისადმი მისალმების შეძახილები. დიდხანს არ ცხრება ოვაცია.

შემდეგ გამოვიდა **იუგოსლავიის** დელეგატი, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი **ბოსიელკა მარიანოვიჩი**.

მან აღნიშნა, რომ იუგოსლავიის ხალხი სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს ტიტოელთა ანტიხალხურ, პროამერიკულ ფაშისტურ პოლიტიკას.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წევრმა **ფუჩიკოვამ** — გესტაპოელების მიერ წამებული ცნობილი მწერლის იულიუს ფუჩიკის ქვრივმა, — მოკლე მგრძნობიარე სიტყვაში უამბო კონგრესის დელეგატებს, თუ რა ვითარებაში დაიღუპა მისი ქმარი. ყოველივე ეს ცნობილი გახდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის გამცემლების — სლანსკისა და სხვათა გასამართლების დროს.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი იბრძვის მშვიდობისათვის, მისთვის უცხოა რასობრივი და რელიგიური დისკრიმინაცია, მას სურს, რომ ყველა ხალხი, განურჩევლად კანის ფერისა, თანასწორუფლებიანი იყოს. ჩეხოსლოვაკიაში ადამიანებს არ სდევნიან მათი წარმოშობისათვის, თქვა მან. ჩვენ ვსჯით იმათ, ვინც ხელს უწყობს ახალი ომის მზადებას, ვისაც სურს ნინგრევებად აქციოს ჩვენი ქარხნები. მაშინ როცა მზადდება ახალი მსოფლიო ომი, როცა ვიეტნამელი, კორეელი და მალაიელი ხალხები ატანჯებიან ამერიკელი იმპერიალისტების მიერ მათთვის თავსმოხვეული ომისაგან, ჩეხოსლოვაკიის ხალხი აძლიერებს ბრძოლას მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის.

ჩვენ ვიბრძოლეთ, თქვა დასასრულ ფუჩიკოვამ, და არ დავივიწყეთ, რომ იულიუს ფუჩიკმა გვიანდერძა სიყვარული კაცობრიობისადმი ადამიანებო, მე მიყვარდით თქვენ. ფუჩიზლად იყავით!

კონგრესის დელეგატები მხურვალედ მეესალმნენ ფუჩიკოვას.

კონგრესზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის დელეგატმა **პიერ კოტმა**, რომელიც შეეხო, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის პრობლემას.

პიერ კოტმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების იდეას. მან აღნიშნა, რომ ეს იდეა არ გულისხმობს ამ სახელმწიფოების საქმეებში ჩარევას. დაე დიდი სახელმწიფოები, განაცხადა პიერ კოტმა, ერთმანეთს შეხვდნენ და დაიწყონ მოლაპარაკება ყველა საკითხზე, რომელიც მათ ჰყოფს, რომელიც ხელს უშლის საერთო თანამშრომლობას. დაე ისინი წაიდნენ ურთიერთდათმობაზე, და ასე უნდა მოიქცეს ხუთივე სახელმწიფო და **არა** ორი ან სამი მათგანი. მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით იქნება გამოხატული მათი გადაწყვეტილებანი, საზოგადოებრივი აზრი ამ გადაწყვეტილებებს უწოდებს მშვიდობის პაქტს. ეს მშვიდობის პაქტი უნდა შეესაბამებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და იგი დაგვეხმარება დავუბრუნდეთ იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

პიერ კოტმა აგრეთვე შეიტანა წინადადება შეიქმნას კომიტეტი ვიწრო შემადგენლობით, რომელიც ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის სახელით გადასცემს კონგრესის მიმართვას მთავრობებისადმი.

პიერ კოტის სიტყვამ მჭუხარე ოვაცია გამოიწვია.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე **იუსუფ ჰელმი** (ეგვიპტე) და **ვერნერ ოვერი** (დანია).

კონგრესის დახურვა

ვენა, 20 დეკემბერი. (საკუთარი). 19 დეკემბერს გვიან საღამოს გაიხსნა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის საბოლოო სხდომა.

8 დღის მუშაობას ამთავრებს დიდი ასამბლეა ხალხებისა, რომლებმაც ვენაში გამოგზავნეს თავიანთი საუკეთესო შვილები და დაავალეს მათ გამოთქვათ ასობით მილიონი ადამიანის ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი.

ამ დღეებში არც ერთხელ არ ყოფილა ვენის „კონცერტჰაუზის“ უზარმაზარი დარბაზი ესოდენ ხალხმრავალი. პარტერი, ბალკონები და გალერია გიგსო დელეგატებით, მეთვალყურეებით, სტუმრებით, ჟურნალისტებით; ხალხი დგას გასასვლელებშიც კი, სავარძლებს შორის და კარებთან; დარბაზის მეზობელ ოთახებში ასობით სტუმარი ორატორებს რადიოთი უსმენს. დარბაზი გაჩაღებულია პროექტორების კაშკაშა შუქით. იგრძნობა დიდი გამოცოცხლება და აღფრთოვანება; ბალკონებიდან მოისმის სხვადასხვა ხალხის სასიხარულო სიმღერები — ვლეონან დელეგატები და სტუმრები. დარბაზში შეიძლება დაინახოთ დელეგატები, რომლებიც ერთმანეთს ეხვევიან. ესენი არიან მტკიცე მეგობრობით დაკავშირებული ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ეთხოვებიან, ვიდრე გაემგზავრებოდნენ სამშობლოში, სადაც წაიღებენ ჭედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, კონგრესზე ჩამოვიდა 198 იტალიელი დელეგატი.

ჩინეთი წარმოდგენილია 59 დელეგატით, ჩრდილოეთ კორეა — 19 და ვიეტნამი — 11 დელეგატით. აზიის ყველა დანარჩენი ქვეყანა წარმოდგენილია 18 დელეგაციით, რომლებშიც შედის 150 დელეგატი, აქედან ინდოეთის — 30 დელეგატი, იაპონიის — 17 დელეგატი.

ამერიკის კონტინენტი კონგრესზე წარმოდგენილია 23 დელეგაციით, რომლებშიც 293 დელეგატი შედის.

აფრიკა და ოკეანია წარმოდგენილია 10 დელეგაციით, რომლებშიც 96 დელეგატი ითვლება.

ამ კონგრესში მონაწილეობას იღებდნენ დელეგატები, რომლებიც ეკუთვნიან მშვიდობის დაცვის მსოფლიო მოძრაობას, აგრეთვე ისეთი დელეგატები, რომლებიც მას არ ეკუთვნიან.

კონგრესის სხდომებს ესწრებოდა 178 ჟურნალისტი. ისინი წარმოადგენენ 113 გაზეთს და 18 სააგენტოს და 30 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ.

თავმჯდომარემ ივ ფარეამ განაცხადა, რომ კონგრესის სახელზე მიღებულია 2 ათასზე მეტი მისასალმებელი წერილი სხვადასხვა ქვეყნის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

თანამედროვე თურქეთი ამერიკის ყაჩაღური იმპერიალიზმის სამსახურში

○

დოცენტი ნ. პაიჭაძე

○

ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთ-გერმანიის იმპერიალისტები ყოველთვის ცდილობდნენ თურქეთის გამოყენებას თავიანთი შავბნელი მიზნებისათვის. ისინი თურქეთს უყურებენ როგორც თავიანთ ახიურ სამფლობელოს, სამხედრო პლაცდარმს, ხოლო თურქ ხალხს — როგორც საზარბაზნე ხორცს. თურქეთის მმართველი წრეები საუკუნეების განმავლობაში ჩვენი სამშობლოს მიმართ მტრულ პოლიტიკას ადგნენ. ისტორიაში ცნობილია, რომ თურქეთი რუსეთისა და მისი მომმე სხვა ხალხების წინააღმდეგ მტაცებლური ომების დროს ინგლისელ-ფრანგ და ამერიკელ კაპიტალისტებს უკავშირდებოდა. ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილა თურქი ფაშების აღვირახსნილი თარეში ჩვენს ქვეყანაში, ხალხების ძარცვა-გლეჯა, ჟლეტა. რუსეთთან ამერკავკასიის ბეღის დაკავშირებამ იხსნა ეს ხალხები ეროვნული და ფიზიკური განადგურებისაგან.

თურქ ასიმილატორებს მათი შავბნელი ზრახვების განხორციელებაში ყოველმხრივ ასულდგმულებდნენ ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტური წრეები. ისინი ცდილობდნენ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებით მოეგვარებინათ საკუთარი საქმეები. ამიტომ თურქეთს აქეზებდნენ რუსეთის წინააღმდეგ, პირდებოდნენ სამხედრო დახმარებას, და ბოლოს კი ყოველთვის შუა გზაზე სტოვებდნენ. მაგრამ თურქეთის მმართველ წრეებს აქედან საბოლოო დასკვნები არ გამოუტანია. ასე მოხდა რუსეთ-თურქეთის ომების დროს; პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა კაიზერულ გერმანიასთან ერთად ომში განადგურებული თურქეთი 1918 წელს მოკავშირეებს დანებდა. ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის იმპერიალისტებმა მოახდინეს თურქეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილის ფაქტიური ოკუპაცია და ხელი მიჰყვეს მის დახაწილებას. დადგა თურქეთის ეროვნული კატასტროფის ჟამი.

მაშინ კატასტროფისაგან თურქეთი იხსნა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, მაგრამ თურქეთის რეაქციულმა მმართველმა წრეებმა აქედანაც ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები. მიუხედავად ბრესტის საზავო ხელშეკრულებისა, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ თურქეთისადმი მეგობრობის შეთავაზებისა, თურქეთის მმართველმა წრეებმა ისარგებლეს ამიერკავკასიის ფრონტის დაშლით და 1918 წელს მუხანათურად დაესხნენ თავს ამიერკავკასიის ხალხებს, გადასწვეს და გააპარტახეს სომხეთისა და აზერბაიჯანის მთელი რიგი სოფლები, დახვრიტეს ათეულ ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, ხელში ჩაიგდეს ერევანი, განჯა, ბაქო და სხვა ქალაქები.

ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტებთან ერთად თურქი რეაქციონერები დახმარებას უწევდნენ ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატელების კონტრრევოლუციურ მთავრობებს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, იარაღსა და საჭურველს აწვდიდნენ დენიკინის, ვრანგელის და სხვათა კონტრრევოლუციურ ბანდებს.

თურქეთის ქემალისტური მთავრობა, რომელიც პანთურქული რეაქციული რასიული იდეოლოგიით საზრდოობდა, საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ მეტად საშიშ, ორჭოფულ, აშკარად პროვოკაციულ პოლიტიკას მიმართავდა. გაჰყვიროდა რა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის შესახებ, იგი ამავე დროს ფარულად აწარმოებდა მოლაპარაკებას ამერიკა-ინგლისისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტურ წრეებთან საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ.

თურქეთის ქემალისტური მთავრობა ხელს უწყობდა გერმანიაში ფაშიზმის გაძლიერებას. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დროს კი ეგრეთწოდებული „ნეიტრალიტეტის“ ნიღაბს ამოფარებული რეაქციული თურქეთი ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ჰიტლერულ გერმანიას. იგი გერმანიის სამხედრო-საზღვაო ხომალდებს ატარებდა შავ ზღვაში სრუტეებით, აწვდიდა გერმანიას ქრომს, სპილენძს, ნავთს და სხვა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მასალას, ამავე დროს ფაფაციებით ემზადებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

საბჭოთა ჯარების მიერ სტალინგრადის კარიბჭესთან ჰიტლერული ურდოების სასტიკმა განადგურებამ ჩაშალა თურქი დამპყრობლების გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა 1944 წლის აგვისტოში ფორმალურად შეწყვიტა ჰიტლერულ გერმანიასთან დიპლომატიური კავშირი, მაინც უწევდა მას დახმარებას ომის უკანასკნელ დღემდე. ჰიტლერული გერმანიის გაანადგურების შემდეგაც თურქეთის მთავრობის მტრული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ხალხების მიმართ ოდნავაც არ შეცვლილა. ჰიტლერული გერმანიის ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა დაიკავეს, რომლებმაც თურქეთის მმართველი წრეების წყალობით მოკლე ხნის განმავლობაში ხელში ჩაიგდეს ამ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მმართველობის საქმე. ამჟამად იქ ამერიკის პირსისხლიანი იმპერიალიზმი ბატონობს და თურქეთი ფაქტიურად ამერიკის კოლონიას, უოლ-სტრიტის ახიურ სამფლობელოს, მის მოდარაჯე ქოფაკს წარმოადგენს. იგი ამერიკა-ინგლისის სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. საკმარისია მოვიგონოთ, რომ მიმდინარე წელს მარტო სამი თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე ამერიკა-ინგლისის ათამდე თვალსაჩინო სამხედრო წარმომადგენელი იყო.

როგორც ცნობილია, თურქეთის რეაქციულმა მმართველმა წრეებმა დიდიხანია თავიანთი ქვეყნის ტერიტორია ამერიკელ იმპერიალისტებს ჩაბარეს. ამჟამად იქ უცხოელი იმპერიალისტები ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში, და ფაქტიურად თვითონ წარმართავენ ქვეყნის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას, მიჰყავთ ქვეყანა გაშმაგებული მილიტარიზაციის გზით. იმპერიალისტები გაძლიერებული ტემპით ეწევიან სამხედრო აეროდრომებისა და სამხედრო-საზღვაო ბაზების შენებლობას, გაჰყავთ სამხედრო სტრატეგიული გზები, აწვდიან თურქეთს იარაღსა და ფულს, ამზადებენ მას ახალი ომისათვის. თურქეთის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ძალები დღეს ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ქვეყნების სამხედრო ძალების ნაწილს შეადგენენ. ფაქტიურად ამ ძალებს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული გენერლები განაგებენ.

თურქეთი, როგორც ამხანაგმა ა. მგელაძემ განაცხადა, „...უძველ დიდი ხანია გადაიქცა იმ ბუდედ, სადაც იმპერიალიზმის ამერიკელ-ინგლისელი სვავები ეწევიან მტრულ ანტისაბჭოთა მუშაობას, ძირგამომთხრელ საქმიანობასა და ინტრიგებს ახლო აღმოსავლეთში და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

თურქეთის რეაქციულ მმართველ წრეებს ამერიკელი იმპერიალისტების კარნახით თანდათან მიჰყავთ ქვეყანა ახალი ომისა და სამხედრო კატასტროფისაკენ.

ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში თურქეთის ოფიციალურად შესვლის შემდეგ ამ ქვეყანაში განსაკუთრებით გაძლიერდა სამხედრო-რევანშისტული ფსიქოზი, პანთურქული, რეაქციული იდეოლოგია, ახალი ომის გაჩაღების პროპაგანდა, მთელი მატერიალური რესურსების სამხედრო მიზნებისათვის დაქვემდებარება. ომის ამერიკელი გამჩაღებლები არაფერს არ იშურებენ, რათა უზრუნველყონ ომისათვის თურქეთის იდეოლოგიური მომზადება, დაარწმუნონ თურქი ხალხი ამერიკის „კულტურისა“ და „ცხოვრების ამერიკული წესის“ „უპირატესობაში“. რადიო და სხვა საშუალებანი თურქეთში ომის პროპაგანდას ემსახურება. ამავე მიზანს ემსახურებიან თურქეთის რეაქციული ჟურნალ-გაზეთები. თურქეთი ახალი ომის გაჩაღების ერთ-ერთი კერაა.

ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებს ემსახურება თურქეთში მისი ეკონომიკური ექსპანსია. ყველა ის კრედიტები და სხვა სახის „დახმარება“, რასაც უოლ-სტრიტის მონოპოლიური მაგნატები აწვდიან თურქეთის მთავრობას მარშალის „გეგმისა“ და ტრუმენის „პროგრამის“ საფუძველზე, მიმართულია ამერიკის კაპიტალის მიერ თურქეთის ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრების შემდგომი დაპყრობისაკენ. ამ უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეძლეს თურქეთის ბაზრიდან ინგლისის კაპიტალის გამოდევნა და იქ გაბატონებული მდგომარეობის დაკავება. ჯერ კიდევ ვაშინგტონის 1946 წლის 7 სექტემბრის დირექტივის შესაბამისად თურქეთის მთავრობამ გაატარა თურქეთის ლირის დევალვაცია, რასაც მოჰყვა ადგილობრივ ბაზარზე ამერიკის დოლარის კურსის ხელოვნური ზრდა. ამერიკის მონოპოლიურმა კავშირებმა ისარგებლეს აღნიშნული მდგომარეობით და შეძლეს ჩალის ფასად შეესყიდათ და გაეტანათ თურქეთიდან სტრატეგიული მნიშვნელობის დეფიციტური ნედლეული და სურსათი. 1947-1948 წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთში გატარეს საექსპორტო საქონლის ბაჟების გაუქმება, საიმპორტო საქონლის ბაჟის მნიშვნელოვანი გადიდება, რაც არ შეხებია ამერიკაში გასაზიდსა და ამერიკიდან შემოსაზიდ საქონელს.

1950-1951 წლებში უოლ-სტრიტის დაქინებითი მოთხოვნით თურქეთის საგარეო ვაჭრობის საბაჟოებისადმი კონტროლი „ნაწილობრივ“ გადავიდა ამერიკელი მონოპოლისტების ხელში, რამაც უფრო განამტკიცა ამერიკის იმპერიალიზმის პოზიცია თურქეთში. ამჟამად თურქეთის საბაჟოებს ფაქტიურად ამერიკის შეერთებული შტატები უწევენ კონტროლს. ეს იმას ნიშნავს, რომ თურქეთმა ფაქტიურად დაკარგა ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

თურქეთის იმპორტი წინა წლების 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე გაიზარდა 1951 წლისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის დასავლეთ გერმანიის სამრეწველო ფირმებზე, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მაგნატების კონტროლს ექვემდებარებიან და მათ ინტერესებს ემსახურებიან. ეს სავაჭრო ბრუნვები აშკარა კოლონიურ ხასიათს ატარებს. ამერიკელებს თურქეთიდან, გაქვთ სამხედრო მნიშვნელობის მეტად დეფიციტური ნედლეული და სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

სანაცვლოდ შემოზიდული საქონლის უდიდეს ნაწილს კი სამხედრო მასალები და საჭურველი შეადგენს. ამერიკა სესხის სახით აწვდის თურქეთს სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ხომალდებს, ტანკებს, ჯავშნიან ავტომობილებს, ქვემეხებს და სხვ. ამ ხომალდების, სამხედრო ტექნიკის უმეტესი ნაწილი უკვე დიდი ხანია მოძველებულია და არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. თურქეთის მმართველი წრეების ასეთ პოლიტიკას არ შეიძლებოდა ძირი არ გამოეთხარა თურქეთის ეკონომიკისათვის და არ გამოეწვია მისი მოშლა.

შეირყა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, ვაჭრობა, მრეწველობა, დაქვეითდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი. ამერიკელ იმპერიალისტთა ზეგავლენით თურქეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1947 წელს გამოსცა კანონი თურქეთის ვალუტის მფარველობის შესახებ, რომლის ძალით ფაქტიურად მან თურქეთის მრეწველობაში დაბანდებული უცხოეთის კაპიტალთა დაცვისა და ხელუხლებლობის სრული პასუხისმგებლობა იკისრა. ამავე კანონის საფუძველზე უცხოელ კაპიტალისტებს უფლება მიენიჭათ თავისუფლად გაიტანონ თურქეთიდან არა მარტო დაბანდებული კაპიტალებიდან მიღებული მოგება, არამედ თვით ეს კაპიტალებიც. უფრო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის დახურვა

(დასასრული)

ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისაგან, საწარმოების, ორგანიზაციებისა და თვალსაჩინო მოღვაწეებისაგან. ამ წერილებში გამოთქმულია მხურვალე სოლიდარობა კონგრესის იდეებთან და მისწრაფება მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისაკენ.

შემდეგ კონგრესის მონაწილეებს წარუდგინეს სამი კომისიის რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები საფუძვლად დაედო კონგრესის საერთო გადაწყვეტილებებს.

ეროვნული დამოუკიდებლობისა და ხალხთა უშიშროების საკითხზე კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ბორსარიმ;** წარმოებული ომების შეწყვეტის საკითხზე კომისიის მუშაობის შესახებ — **ჯეიმს ენდიკოტმა;** საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე კომისიის მუშაობის შესახებ — **იზაბელა ბლუმმა.**

კონგრესი იწყებს თავისი მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილის — იმ გადაწყვეტილებათა განხილვასა და მიღებას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ დედამიწის ყველა კუთხეში მოლიოონობით ახალი ადამიანის დარაზმვას მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობისათვის საბრძოლველად.

სიტყვა ეძლევა პროფესორ **ბერნალს** (ინგლისი), რომელიც კითხულობს ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვის ტექსტს.

ამ მიმართვაში ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი საზეიმოდ იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს — დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადებაზე, რათა მსოფლიო იხსნან უდიდესი უბედურებისაგან.

ბერნალი აცხადებს, რომ შეიქმნა კომისია, რომელსაც მიენდო ეს მიმართვა გადასცეს ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს. ამ კომისიაში შევიდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა მწერლები ერენბურგი და ტიხონოვი.

ბერნალის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს მქუხარე ტაში და მისასალმებელი შეძახილები.

შემდეგ **ჟილბერ დე შამბრენმა** გამოაქვეყნა ტექსტი ხალხთა კონგრესის მოწოდებისა, რომელშიც გამოთქმულია ყველა ხალხის ერთსულოვანი მისწრაფება — დაუყოვნებლივ შეწყდეს სამარი მოქმედება კორეაში, ვიეტნამში, ლაოსში, კამბოჯასა და მალაიაში, დიდოს მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის, შეწყდეს ერთი სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევა მეორე სახელმწიფოს საქმეებში. მოწოდებაში აღნიშნულია გერმანიისა და იაპონიის პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების კონკრეტული გზები, მოთხოვნა მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის აკრძალვის შესახებ.

დასასრულ, მოწოდება შეიცავს კონგრესის მიმართვას მსოფლიოს ხალხებისადმი — იბრძოლონ მოლაპარაკებისა და თანხმობისათვის, ხალხთა მშვიდობის უფლებისათვის.

კონგრესის მონაწილეებმა მქუხარე ოვაციით არაერთგზის შეაწყვეტინეს სიტყვა ე. შამბრენს, რომელიც მიმართვის ტექსტს კითხულობდა.

ამ ორი დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ მათ კენჭი ეყარა ცალცალკე თვითეული ქვეყნის დელეგაციაში. სხდომის დიდი დარბაზის სხვადასხვა ადგილას, მეზობელ ოთახებში და ბალკონებზე შეიკრიბნენ დელეგაციები, რომელთა ყოველ წევრს შესაძლებლობა მიეცა გამოეთქვა თავისი აზრი. ხან აქ, ხან იქ გაისმის „ვაშა“ და ტაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკეული დელეგაციები ამთავრებენ კენჭისყრას.

ივ ფარუი საზეიმო ვითარებაში აცხადებს კენჭისყრის შედეგებს. ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი მიმართვის მიღებას ხმა მისცა 1.637 კაცმა; 7 დელეგატმა თავი შეიკავა.

ხალხთა კონგრესის მოწოდებას ხმა მისცა 1.626 კაცმა; 10 დელეგატმა თავი შეიკავა.

კონგრესის მონაწილეთა ერთსულოვანი კენჭისყრის შედეგებმა ახალი მქუხარე ოვაცია გამოიწვია. მთელი დარბაზი ფეხზე დგება; ყველა ენაზე გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს მშვიდობას!“, დამსწრენი 15 წუთს უკრავენ ტაშს და ამით გამოხატავენ კონგრესის გადაწყვეტილებათა მოწონებას; ბევრ დელეგატს თვალზე სიხარულის ცრემლი აქვს. ჰაერში აფრიალდა ასობით ფერადი თავშალი, დელეგატები ხელიხელჩაკიდებულნი მღერიან დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს.

ბოლოს, როცა ოვაცია ცხრება, ტრიბუნაზე ადის იტალიელი დელეგატი **ჯუზეპე ნიტი,** რომელიც საბოლოო სიტყვას ამბობს.

ნიტიმ აღნიშნა, რომ კონგრესზე შეიკრიბნენ ყველა რასის, ყველა ერის, სხვადასხვა სარწმუნოების, იდეოლოგიისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ყველა დელეგატს შესაძლებლობა ჰქონდა გამოსულიყო პლენარულ სხდომებზე ან კომისიების სხდომებზე აზრის გამოთქმის სრული თავისუფლების პირობებში. ისინი გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს, იდეებსა და კრიტიკულ შენიშვნებს.

ნიტიმ კონგრესს მოაგონა, რომ დელეგატებმა მოისმინეს ყველა ქვეყნის რელიგიურ მოღვაწეთა, კოლონიური ქვეყნების წარმომადგენელთა სიტყვები, რომლებიც სასტიკი კოლონიური ჩაგვრით იტანჯებიან. ხალხთა კონგრესის ტრიბუნიდან, თქვა მან, წარმოითქვა მნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც შეიძლება ძვირფასი დოკუმენტაცია გახდეს, და ამიტომ უნდა გამოიცეს „თეთრი წიგნი“, რომელშიც შეგროვდება ყველა ეს სიტყვა.

ჩვენ შევასრულეთ, განაგრძო ნიტიმ, კარგი მუშაობა და შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ მიღწეული შედეგებით... იმისათვის, რომ გაგრძელდეს, უნდა გწამდეს იდეალი, უნდა დაიცვა შენი საქმე მამაცურად და თავდადებულად.

ბევრი ჩვენგანი, თქვა ნიტიმ, თავის ქვეყანაში დაბრუნებისას სიძნელეებს შეხვდება. შესაძლებელია, საფრთხე მოგველოდეს, მერე რა, ჩემი ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ გაბედულად შევხვდებით მას, რადგან ვიცით, რომ დავიცავთ სამართლიან საქმეს. თქვენ მოიწონეთ ხალხთა კონგრესის მოწოდების ტექსტი და ჩვენ მივმართავთ ხუთი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ამ მარტივი, მაგრამ ესოდენ ქმედითი წინადადებით. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დასადებად, რომლის გარშემოც იქმნება ისტორიაში უდიდესი გაერთიანება ადამიანებისა და ძალებისა. ჩვენ ყველანი ვიმუშავებთ ერთად—ძველი მებრძოლები და ღღევანდელი ახალი მეგობრები — ამ მიზნის მისაღწევად და ომის აჩრდილის მოსასპობად. ჩვენ გვჯერა სხვადასხვა რეჟიმის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა. ჩვენ გვჯერა, რომ ერების ყოველგვარი უთანხმობა შეიძლება გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობა შეიძლება გადარჩენილ იქნას და გაბედულად და მტკიცედ ვიბრძოლებთ ჩვენი საქმისათვის.

20 დეკემბერს, დილის 3 საათზე, ივ ფარუმა ხალხთა მშვიდობის დაცვის დიდი კონგრესი დახურულად გამოაცხადა.



ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

თუმც ხარობს ოქრო-ვერცხლის
ციმციმით —
თანდაყოლილი არის თვისება —
ამ ბოროტების დიდი სიმძიმით
ბოროტი თვითონ გაისრისება!

ომის სურვილით იღვწის ბებერი,
კვდება და კბილთა ღრჭენა
გვაჩვენა...
ხოლო მშვიდობის დამმყარებელი
იყო და არის ხალხის მარჯვენა!

კ. კალაძე.

მდგომარეობა მაროკოში

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, მდგომარეობა მაროკოში კვლავ დაძაბულია. გუშინ მოეწყო კასაბლანკის არაბული უბნების ვაჭართა გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო მაღაზიებისა და დუქნების მფლობელთა თითქმის ასმა პროცენტმა.

18 დეკემბერს საფრანგეთის პოლიციამ ამ ქალაქში დაჰპატიმრა შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალი პროფკავშირული ორგანიზაციების 10 ხელმძღვანელი. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის კოლონიურ ხელისუფალთა ბრძანებით მაროკოში აკრძალეს გაზეთ „ლუმანიტეს“ გავრცელება.

„ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა პარიზში მცხოვრები ტუნისელი, ალჟირელი და მაროკოელი სტუდენტების ღია წერილი რესპუბლიკის პრეზიდენტ ორიოლისადმი. ამ წერილში ჩრდილოეთ აფრიკის სტუდენტები პროტესტს აცხადებენ 8 დეკემბერს სამი ტუნისელი პატრიოტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ ასეთი სასიკვდილო განაჩენები მხოლოდ გააძლიერებს ტუნისელთა, ალჟირელთა და მაროკოელთა სიძულვილს იმ „რეჟიმისადმი, რომელიც მკვლელობას ემყარება“.

ახალი შეჯახის შექმნა ინდოეთში

ლონდონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო დელიდან იუწყება, გუშინ პრემიერ-მინისტრმა ნერუმ პარლამენტში განაცხადა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა შექმნან ინდოეთში ახალი შტატი — ანდხრას შტატი; მის შემადგენლობაში შევა ახლანდელი მადრასის შტატის რაიონები, რომელთა მოსახლეობა ტელუგუს ენაზე ლაპარაკობს; ამავე დროს შტატის შემადგენლობაში არ შევა ქალაქი მადრასი. (ტელუგუ ძველი ენაა, რომელზეც ინდოეთში ლაპარაკობს მილიონობით ადამიანი).

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 20 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებთან და ლი-სინმანელთა ჯარებთან.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 და დაზიანეს 3 თვითმფრინავი.

ფხენიანი, 21 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 21 დეკემბერს გამოაცხადა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შეაერთები ყველა ფრონტზე ეწეოდნენ საარტილერიო სროლას ამერიკელ-ინგლისელთა და ლისინმანელთა ჯარებთან. ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

გუშინ ღამით ამერიკელი ჰაერის მეკობრეები თავს დაესხნენ ფხენიანის რამდენიმე საცხოვრებელ უბანს, სადაც სამხედრო ობიექტები არ არის, და რამდენიმე ასეული ბომბი ჩამოყარეს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 7 და დაზიანეს 9 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების დაბომბვაში და მათთვის ტყვიამფრქვევის დაშენაში.

თანამედროვე თურქეთი ამერიკის ყაჩაღური იმპერიალიზმის სამსახურში

(დასასრული)

მეტიც. თურქეთის მთავრობამ იმავე უოლ-სტრიტის კარნახით უცხოელ კაპიტალისტებს თურქეთში სხვადასხვა სააქციო საზოგადოებათა დაარსების ნება დართო. ამ კანონის საფუძველზე თურქეთში მოკლე დროში აღმოცენდა მთელი რიგი სააქციო საზოგადოებანი. აღნიშნულ საზოგადოებებში ძირითადად მოკალათებულია ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალი. არ არსებობს იქ მრეწველობის არც ერთი დარგი, რომელშიც ამერიკის ყაჩაღურ იმპერიალიზმს არ ჰქონდეს ფესვები გადგმული.

თურქეთში თავისი მოქმედების ასპარეზი გააფართოვა ეგრეთწოდებულმა „რეკონსტრუქციისა და განვითარების“ საერთაშორისო ბანკმა. აღნიშნული ბანკის მთელ მოქმედებას თურქეთში ამერიკელი იმპერიალისტები განაგებენ. ისინი კრედიტების მიწოდების შედეგად სულ ახალ პრივილეგიებს იძენენ თურქეთის მთავრობის მეშვეობით.

დღევანდელი თურქეთის ეკონომიკა სამხედრო ეკონომიკაა. ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კაპიტალდაბანდება თურქეთში და კაბალური კრედიტები, რომლებსაც ვაშინგტონი აწვდის ამ ქვეყნის რეაქციულ მთავრობას, მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის არა სამშვიდობო, არამედ სამხედრო დარგების განვითარებისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ასეთ ექსპანსიას და თურქეთის მმართველი წრეების ასეთ ანტიხალხურ პოლიტიკას არ შეეძლო ქვეყნის ეკონომიკა სრულ მოშლამდე არ მიეყვანა. პირველ რიგში მძიმე ზარალი განიცადა თურქეთის ისედაც სუსტმა მრეწველობამ. ამერიკიდან შემოზიდული საქონლის კონკურენციის შედეგათ დაიკეტა საფეიქრო, გემოვარგისი მიწების 77 პროცენტი მემამულეებისა და კულაკების ხელშია. უმიწაწყლო, გაძვალტყავებული გლეხი იძულებულია კაბალური იჯარით აიღოს მიწა, რომელსაც ის უკიდურესად ჩამორჩენილი, პრიმიტიული იარაღებით ამუშავებს. მაღალი გადასახადები, რაც დაკავშირებულია ქვეყნის მილიტარიზაციის ზრდასთან, უმიწაწყლობა, მემამულეებისა და კულაკების მხრივ ექსპლოატაცია, სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, ბუნებრივი დაბრკოლებანი (ვგულვები და სხვ.) აუტანელს ხდის თურქი მშრომელი გლეხობის მდგომარეობას. თურქეთის სოფლებში შიმშილი მძვინვარებს. ომის ამერიკელ გამჩაღებელთა პოლიტიკის შედეგად თურქეთში შეიქმნა სულისშემხუთავი რეჟიმი. ისევე როგორც ამერიკის საგარეო პოლიტიკისადმი დაქვემდებარებულ სხვა ქვეყნებში, თურქეთშიც ამერიკის შეიარაღებული ძალები დამსჯელ ჟანდარმთა როლს ასრულებენ, თურქეთში მძვინვარებს ფაშისტური ტერორი.

„ამჟამად, — განაცხადა ამხანაგმა ბალენკოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე, — ამერიკის იმპერიალიზმი მოქმედებს უკვე არამარტო როგორც აგრესორი, არამედ აგრეთვე როგორც მსოფლიო ჟანდარმი, რომელიც ცდილობს ჩაახშოს თავისუფლება ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, და დანერგოს ფაშიზმი“.

თურქეთის მთავრობა უსიტყვოდ ასრულებს ამერიკის ყაჩაღური იმპერიალიზმის მითითებებს. ეგრეთწოდებული „დემოკრატიული“ პარტია, რომელმაც ფაქტიურად ხელთ იგდო ძალაუფლება 1950 წლის 14 მაისის არჩევნების შემდეგ, საგარეო ურთიერთობაში იმავე პოლიტიკას ახორციელებს, როგორსაც ახორციელებდა მისი მოძმე „სახალხო-დემოკრატიული“ პარტია. საშინაო პოლიტიკის დარგში ის თავგამოდებით იცავს მსხვილი ბურჟუაზიის, კომპრადორებისა და მემამულეთა ინტერესებს და ქვეყანა ფაშიზაციის გზით მიჰყავს. ეწევიან სახელმწიფო აპარატის „წმენდას“ „არასაიმედო“ პირებისაგან, ხურავენ პროგრესულ გაზეთებს და სასტიკად სდევნიან მშვიდობისა და თავისუფლების მომხრეებს.

თურქეთში გამეფებულია ძალმომრეობა, შანტაჟი, მოსყიდვა, აშკარა ტერორი. საპყრობილეები და მიზგითები ვეიარ იტევენ პატიმრებს.

იმპერიალისტებს სურთ სრულ მორჩილებასა და მონობაში იყოლიონ თურქი ხალხი და მთელი აღმოსავლეთის ხალხები, ჩაახშონ იქ სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა; მაგრამ თურქი მშრომელები ხმას იმაღლებენ თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ვითარდება და იზრდება ამ ქვეყნის მშრომელი ხალხის მოძრაობა ამერიკელი მჩაგვრელებისა და თურქეთის რეაქციული მმართველი წრეების წინააღმდეგ. თურქ ხალხს კარგად ესმის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებთან მეგობრობა, მათი ბრძოლისა და შრომის მაგალითი და გამოცდილება, მათი მხარდაჭერა მშვიდობისა და განთავისუფლებისათვის ბრძოლაში უადვილებს მას რეაქციული ბურჟუაზიის, ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლას. თურქ ხალხს კარგად ესმის, რომ ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიის ინტერესები, როგორც ამხანაგმა სტალინმა განაცხადა პარტიის XIX ყრილობაზე, უერთდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

დიდი სტალინის სიტყვა XIX ყრილობაზე, მისი ახალი გენიალური დებულებები და დასკვნები მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის გაღრმავებისა და კაპიტალიზმის გარდუვალი დაღუპვის მოახლოების შესახებ გამარჯვების რწმენას განმტკიცებს კაპიტალიზმის ქვეყნების მშრომელებს და მათ შორის თურქ ხალხს, უადვილებს მათ თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ი. ბ. სტალინის სახელობის ხიდზე მოძრაობის გახსნა

კვირას, 21 დეკემბერს, გაიხსნა მოძრაობა მდინარე მტკვარზე ახლადაგებულ ხიდზე, რომელსაც თბილისის მშრომელთა და მშენებელთა ერთსულოვანი სურვილის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიეკუთვნა ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის სახელი.

ხიდის გამოცდა მისი მაქსიმალურად დატვირთვის საშუალებით წარმატებით დამთავრდა და მასზე მოძრაობა დაიწყო დღის 12 საათიდან.

კმაყოფილებით ათვალიერებენ თბილისელი მშრომელები დედაქალაქის ამ ახალ მშვენებას, აღტაცებას გამოთქვამენ ამ შესანიშნავი ნაგებობის გამო.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუდმივი გამოფენის გახსნა

კვირას, 21 დეკემბერს, თბილისში, ყოფილი სემინარიის ისტორიულ შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუდმივი გამოფენა.

გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. გიგოშვილმა. სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა. მათ აღნიშნეს ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც მშრომელთა ფართო მასებისათვის, შემოქმედებითი მუშაკებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის აქვს ქართველი ხალხის უმდიდრესი მხატვრული კულტურის საუნჯეთა მუდმივ გამოფენას.

დიდძალმა მნახველებმა განსაკუთრებული ინტერესით დაათვალიერეს ფართო, ნათელ დარბაზებში გამოფენილი შესანიშნავი ექსპონატები.

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონაჟი

21 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ კონსტანტინოპოლსკი — გელერი და ტოლუშ — კერესი. სიმაგინმა 62-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო სმისლოვთან; გროსმაისტერმა ბოტვინიკმა მოუგო კანსა და ილივიცკის. 85-ე სვლაზე ბივშევმა თავი დამარცხებულად ცნო გელერთან. ბივშევმა მოუგო ილივიცკის, კანმა — გოლდენოვს და ყაიმით დაამთავრა პარტია ილივიცკისთან. 63-ე სვლაზე აღინიშნა ყაიმი გოლდენოვ — კასპარიანის შეხვედრაში. კონსტანტინოპოლსკი — კანის პარტია 79 სვლის შემდეგ კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა ოთხი ტური, მაგრამ ბრძოლა სპრინზო ადგილებისათვის ჯერ კიდევ მეტად დაძაბულია. ტურნირის წამყვან მონაწილეთა მდგომარეობა ახლა ასეთია: გროსმაისტერ ტაიმანოვს აქვს 11 ქულა, გროსმაისტერ ბოტვინიკსა და ოსტატ მოისეევს — 10 ქულა თვითეულს, გროსმაისტერ ბოლესლავსკის, გროსმაისტერ გელერს და ოსტატ ტოლუშს 9,5 ქულა თვითეულს.

დღეს, 23 დეკემბერს, გაიმართება სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტური. (საკდესი).

ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 12

გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 12.

ჟურნალში დაბეჭდილია მოწინავე — „იდეოლოგიური მუშაობა ავიყვანოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანების დონეზე“, აგრეთვე სარედაქციო სტატია „ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის ზეიმი“, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 30-ე წლისთავისადმი, რაც 30 დეკემბერს სრულდება.

მოთავსებულია სტატიები: ვ. მელქაძისა — „მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის თეორიული აღმოჩენები“, ლ. ებანოიძისა — „მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო მტკიცე და უძლეველია“ და კ. ლომიძისა — „ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობათა გამწვავება თანამედროვე ეტაპზე“.

განყოფილებაში „პარტიულ თემაზე“ დაბეჭდილია ვ. ბალავაძის სტატია — „კადრები პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალაა“ და გ. ფირცხალავას სტატია — „შევაიარაღოთ პარტიული აქტივი მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით“.

ჟურნალში არის აგრეთვე კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ეროვნული ბანკის სახელმწიფო ლატარია

(1951 წლის გამომცემება)

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-2 ტირაჟისა, რომელიც შედგა 1952 წლის 14 დეკემბერს ქალაქ ვოლოგდაში.

მოგება ხვდა სესხის ყველა 342 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით
100004	16*)	25.000	110974	1—50	500
100084	1—50	500	111186	1—50	200
100128	38*)	1.000	111330	38*)	1.000
100223	03*)	1.000	111366	09*)	1.000
100247	04*)	10.000	111397	28*)	1.000
100355	43*)	1.000	111502	18*)	1.000
100401	1—50	500	111534	44*)	1.000
100642	13*)	1.000	111561	42*)	5.000
100831	1—50	500	111620	24*)	1.000
100841	26*)	1.000	111635	48*)	5.000
101030	1—50	200	111643	06*)	1.000
101072	1—50	200	111676	1—50	200
101095	31*)	1.000	111679	04*)	1.000
101579	1—50	500	111730	46*)	1.000
101872	1—50	200	111823	19*)	1.000
102163	08*)	1.000	111869	46*)	1.000
102196	26*)	1.000	111981	38*)	1.000
102289	1—50	200	112277	03*)	1.000
102311	15*)	1.000	112484	40*)	1.000
102472	49*)	1.000	112908	1—50	500
102605	15*)	5.000	113011	25*)	10.000
102787	12*)	1.000	113017	1—50	200
102819	1—50	200	113293	1—50	200
102923	10*)	5.000	113294	47*)	1.000
102949	1—50	200	113304	06*)	1.000
102992	50*)	1.000	113505	34*)	1.000
103013	41*)	1.000	113740	1—50	200
103017	38*)	1.000	113905	36*)	1.000
103041	37*)	1.000	114324	1—50	200
103274	1—50	200	114410	1—50	200
103618	42*)	1.000	114817	03*)	1.000
103775	41*)	1.000	114844	44*)	1.000
102897	1—50	200	115001	43*)	1.000
104173	12*)	1.000	115013	1—50	500
104319	50*)	1.000	115016	32*)	1.000
104370	1—50	500	115071	40*)	1.000
104537	41*)	1.000	115135	50*)	1.000
104843	1—50	200	115287	1—50	200
104866	03*)	1.000	115361	01*)	1.000
104975	1—50	500	115388	01*)	1.000
105144	1—50	200	115389	1—50	500
105157	1—50	200	115433	40*)	1.000
105206	23*)	1.000	115448	1—50	200
105302	1—50	200	115508	18*)	1.000
105330	1—50	200	115509	1—50	200
105671	22*)	1.000	115580	1—50	200
105832	1—50	500	115651	1—50	500
105837	21*)	1.000	115672	35*)	1.000
105848	48*)	1.000	115882	31*)	5.000
105940	08*)	1.000	115896	1—50	200
106243	1—50	200	115905	1—50	200
106274	41*)	1.000	116072	16*)	1.000
106293	43*)	1.000	116087	01*)	1.000
106358	32*)	1.000	116140	03*)	1.000
106493	46*)	1.000	116380	47*)	1.000
106690	45*)	1.000	116680	37*)	1.000
106786	35*)	1.000	116716	01*)	1.000
106839	1—50	500	116777	41*)	10.000
106998	1—50	200	116899	07*)	1.000
107028	23*)	1.000	117211	31*)	5.000
107128	26*)	1.000	117274	22*)	5.000
107146	35*)	1.000	117329	1—50	500
107210	34*)	1.000	117340	1—50	200
107445	23*)	1.000	117420	22*)	1.000
107616	44*)	1.000	117480	08*)	1.000
107764	1—50	200	117619	32*)	1.000
107830	48*)	5.000	117707	29*)	1.000
108038	1—50	200	117863	06*)	5.000
108054	12*)	1.000	117871	1—50	200
108077	41*)	1.000	117954	1—50	500
108117	18*)	1.000	118006	1—50	200
108165	47*)	1.000	118322	1—50	500
108509	14*)	1.000	118354	1—50	200
108565	44*)	1.000	118379	1—50	200
108754	32*)	1.000	118423	26*)	1.000
108878	15*)	1.000	118610	44*)	1.000
108966	05*)	1.000	118619	11*)	1.000
109470	1—50	200	118709	1—50	200
109510	33*)	1.000	119149	1—50	200
109848	1—50	200	119291	37*)	1.000
109941	11*)	1.000	119297	30*)	1.000
110103	1—50	200	119417	29*)	1.000
110316	1—50	200	119440	1—50	500
110432	1—50	500	119562	41*)	1.000
110474	1—50	200	119663	1—50	500
110564	23*)	1.000	119674	45*)	1.000
110569	1—50	500	119704	1—50	200
110613	09*)	1.000	119816	16*)	10.000
110840	19*)	5.000	119831	1—50	200
110845	01*)	10.000	119863	10*)	1.000
110861	1—50	200	119887	1—50	200

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ვოლოგდის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

პ. პ. კოლეპანოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

მ. ა. სმირნოვა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან **მელქისედეკ ონნისიმეს-ძე ჩოგოვაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი სანიტარული ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ანა გლახუნის ასულ ავალიანის** გარდაცვალებას.

შვილები რომან, მარო, ნადია, მარგალიტა, რძალი ქეთევან რაზმაძეები იუწყებიან **